დანართი #1

პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების და წახალისების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 სსიპ კოლეჯი მოდუსის პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების და წახალისების წესი (შემდგომ – წესი) განსაზღვრავს კოლეჯში პროფესიული განათლების მასწავლებლების მუშაობის შედეგების შეფასებას;

1.2 სსიპ კოლეჯი მოდუსის პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების და წახალისების წესი (შემდგომ – წესი) განსაზღვრავს კოლეჯში პროფესიული განათლების მასწავლებლების მუშაობის შედეგების შეფასების მიხედვით წახალისების პროცედურებს;

1.3 წესი ვრცელდება კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

2.1. წესში გამოყენებულ ტერმინებს ამ წესის მიზნებისთვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **შეფასება** - პროფესიული განათლების მასწავლებლების გაწეული შრომის შეფასება განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად;

ბ) **შეფასების კრიტერიუმები** - შეფასებისთვის განსაზღვრული საზომი, რომლის მიხედვითაც ხდება მასწავლებლების შეფასება.

გ) **წახალისება** - ინსტრუმენტი, რომელიც მოტივაციას უმაღლებს მასწავლებლებს გულმოდგინედ იმუშაონ თვითგანვითარების, კოლეჯის და პროფესიული განათლების სასარგებლოდ.

დ) **წახალისების ფორმები** - წახალისების ფორმა შესაძლოა იყოს როგორც მატერიალური ისე არამატერიალური.

მუხლი 3. კრიტერიუმები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პროფესიული განათლების მასწავლებელი:

3.1 თვითგანვითარების აქტივოებებში ჩართვის მაღალი მოტივაცია/კარიერულ ზრდაზე ორიენტირება:

ა)პროფესიული განვითარების ტრენინგ-კურსებში მონაწილეობა;

ბ)კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო აქტივობებში ვორქშოპებში /სემინარებში ჩართვა.

3.2 კომპეტენციის ფარგლებში მაღალი ხარისხის სერვისის მიწოდების უზრუნველყოფა.

ა)პროფესიული სტუდენტების დასწრების მაღალი მაჩვენებელი;

ბ)პროფესიული სტუდენტების საუკეთესო შედეგების მიღწევის მტკიცებულება;

გ)სწავლების და შეფასების მეთოდოლოგიის/ ტექნიკის წარმატებული გამოყენება;

დ) პროფესიული სტუდენტების კოლეჯის აქტივობებში ჩართვის, გენდერული და სოციალური ინტეგრაციის წახალისება

3.3. კოლეჯის განვითარებისთვის შეტანილი წვლილი.

ა)ინოვაციური იდეების დანერგვის ხელშეწყობა;

ბ) კოლეგებისთვის ცოდნის და გამოცდილების გაზიარება;

გ)კოლეჯის სახელით პროფესიული წარმატების მიღწევა/დაჯილდოვება.

მუხლი 4. პროფესიული განათლების მასწავლებლის წახალისების ფორმები

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) ფულადი ჯილდო;

გ) კოლეჯის სახელით მნიშვნელოვან პროფესიულ ჯილდოზე კანდიდატად წარდგენა.

მუხლი 5. პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების წესი

5.1 პროფესიული განათლების მასწავლებლები შეფასდებიან წინამდებარე წესის მესამე მუხლის შესაბამისად. (შეფასების რუბრიკა დანართი 1.)

5.2 პროფესიული განათლების მასწავლებლების შეფასება მოხდება, კოლეჯის ადმინისტრაციის წევრების მიერ წინამდებარე წესის მესამე მუხლის პირველი, მეორე და მესამე პუნქტების შესაბამისად. (შეფასების რუბრიკა დანართი 1.)

ა) პუნქტი 3.1. თვითგანვითარების აქტივოებებში ჩართვის მაღალი მოტივაცია/კარიერულ ზრდაზე ორიენტირება - კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერი;

ბ) პუნქტი 3.2. კომპეტენციის ფარგლებში მაღალი ხარისხის სერვისის მიწოდების უზრუნველყოფა - კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი;

გ) პუნქტი 3.2. კოლეჯის განვითარებისთვის შეტანილი წვლილი - ხარისხის მართვის მენეჯერი.

5.3 პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება მოხდება წელიწადში ორჯერ მეორე და მეოთხე კვარტლის ბოლოს.

5.4 პროფესიული განათლების მასწავლებლის წახალისება მოხდება წელიწადში ორჯერ მეორე და მეოთხე კვარტლის ბოლოს.

მუხლი 6. პროფესიული განათლების მასწავლებლის წახალისების წესი

6.1. პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების შედეგების შესაბამისად წახალისება ხორციელდება შემდეგი წესით:

ა) მადლობის გამოცხადება, როგორც წახალისების ფორმა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით,/ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

ბ) ფულადი ჯილდო შეიძლება მიეცეს, საუკეთესო შედეგების შეფასებისას, როგორც წახალისების ფორმა და გამოყენებულ იქნეს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით,/ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

6.2.შედეგების შეფასებიდან გამომდინარე, პროფესიული განათლების მასწავლებლის მიმართ შესაძლებელია, გამოყენებული იყოს წახალისების ფორმებიდან ერთდროულად რამდენიმე.

დანართი N1

N	პროფესიული განათლების მასწავლებელი ----------	შეფასება		კომენტარი
		აღწერა	ქულა	
1	შეფასების კრიტერიუმები	საუკეთესო/ქულა 3		
	თვითგანვითარების აქტივობებში ჩართვის მაღალი მოტივაცია/კარიერულ ზრდაზე ორიენტირება: ა)პროფესიული განვითარების ტრენინგ-კუსებში მონაწილეობა; ბ)კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო აქტივობებში-ვორქშოპებში/სემინარებში ჩართვა.	მასწავლებელი მკვეთრად გამოირჩევა თვითგანვითარებაზე ზრუნვით და კვალიფიკაციის პროგრესით. იჩენს ინიციატივას		
		კარგი/ქულა 2		
		მასწავლებელი თანახმაა მონაწილეობა მიიღოს თვითგანვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებში, თუმცა განსაკუთრებული ინტერესით არ გამოირჩევა. ნაკლებად იჩენს ინიციატივას.		
		დამაკმაყოფილებელი/ქულა 1		
		მასწავლებელი ნაწილობრივ ერთვება პროფესიული პროგრესისთვის საჭირო ღონისძიებებში. თავად არ იჩენს ინიციატივას.		
		არადამაკმაყოფილებელი/ქულა 0		
		მასწავლებელი არ იჩენს ინტერესს და არ ერთვება თვითგანვითარებისა და პროფესიული ზრდისთვის საჭირო აქტივობებში.		

N	პროფესიული განათლების მასწავლებელი ----------	შეფასება		კომენტარი
		აღწერა	ქულა	
2	შეფასების კრიტერიუმები	საუკეთესო/ქულა 3		
	კომპეტენციის ფარგლებში მაღალი ხარისხის სერვისის მიწოდების უზრუნველყოფა. ა)პროფესიული სტუდენტების დასწრების მაღალი მაჩვენებელი; ბ)პროფესიული სტუდენტების საუკეთესო შედეგების მიღწევის მტკიცებულება; გ)სწავლების და შეფასების მეთოდოლოგიის/ტექნიკის წარმატებული გამოყენება დ)პროფესიული სტუდენტების კოლეჯის აქტივობებში ჩართვის, გენდერული და სოციალური ინტეგრაციის წახალისება.	მასწავლებელი მკვეთრად გამოირჩევა სერვისების მიწოდების მაღალი ხარისხით. აქვს საუკეთესო შედეგების მტკიცებულებები.		
		კარგი/ქულა 2		
		მასწავლებელი კარგად ასრულებს მის ფუნქცია-მოვალეობების ფარგლებში შესასრულებელ სამუშაოს.		
		დამაკმაყოფილებელი/ქულა 1		
		მასწავლებელი ასრულებს მის ფუნქცია-მოვალეობების ფარგლებში შესასრულებელ სამუშაოს, თუმცა ხშირ შემთხვევაში ესაჭიროება დახმარება და/ან მითითება		
		არადამაკმაყოფილებელი/ქულა 0		
		მასწავლებელის შესრულებული სამუშაო არადამაკმაყოფილებელია და არ არის მის ფუნქცია-მოვალეობებთან შესაბამისი.		

N	პროფესიული განათლების მასწავლებელი ----------	შეფასება		კომენტარი
		აღწერა	ქულა	
3	შეფასების კრიტერიუმები	საუკეთესო/ქულა 3		
	კოლეჯის განვითარებისთვის შეტანილი წვლილი ა)ინოვაციური იდეების დანერგვის ხელშეწყობა ბ)კოლეგებისთვის ცოდნის და გამოცდილების გაზიარება გ)კოლეჯის სახელით პროფესიული წარმატების მიღწევა/დაჯილდოვება და ა.შ	მასწავლებელი მკვეთრად გამოირჩევა ინიციატივებით და კოლეჯის განვითარების ზრუნვით.		
		კარგი/ქულა 2		
		მასწავლებელი ჩართულია კოლეჯის განვითარებისთვის დაგეგმილ აქტივობებში, თუმცა თავად არ იჩენს ინიციატივას აღნიშნულის მიმართულებით		
		დამაკმაყოფილებელი/ქულა 1		
		მასწავლებელი მეტ-ნაკჯლებად ახერხებს ხელი შეუწყოს კოლეჯის განვითარებისთვის დაგეგმილ მიმდინარე პროცესებს. არ იჩენს ინიციატივებს		
		არადამაკმაყოფილებელი/ქულა 0		

		მასწავლებელი არ არის ჩართული კოლეჯის განვითარებისთვის საჭირო პროცესებში.		
		ქულათა ჯამური რაოდენობა		